ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 1

27 იანვარი
"---" -------- 2023 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის" პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის მეტროს მოდერნიზაციის" პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 იანვრის №23.48.49 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითრების ბანკს (EBRD) შორის "თბილისის მეტროს მოდერნიზაციის" პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ვერსია 11/11/2022

(საოპერაციო ნომერი 52586)

პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება

(თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა

და

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს

შორის

პროექტის მხარდაჭერი ხელშეკრულების წინამდებარე ვერსია მომზადებულია მხოლოდ წინასწარი განხილვის მიზნებისთვის. მას შეიძლება დაემატოს სხვა შეთანხმებები. არსებული ტექსტი ექვემდებარება ცვლილებას და საბოლოო დამტკიცება მოხდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ.

თარიღი _____ 2023

სარჩევი

მუხლი I - სტანდარტული პირობები და ტერმინების განმარტებები 21

ნაწილი 1.01. სტანდარტული პირობების გათვალისწინება 21
ნაწილი 1.02. ტერმინების განმარტებები 21
ნაწილი 1.03. ინტერპრეტაცია 2
ნაწილი 1.04. დასტური 2

II - მხარდაჭერის ვალდებულებები 33

ნაწილი 2.01 ქალაქ თბილისის მერიის მიერ ნაკისრი მხარდაჭერის ვალდებულებები... 33
ნაწილი 2.02. ფინანსური ვალდებულებები 4
ნაწილი 2.03. ქვესასესხო ხელშეკრულება 4
ნაწილი 2.04. საჯარო მომსახურების კონტრაქტი 4

მუხლი III - ფინანსური და საოპერაციო ვალდებულებები 55

ნაწილი 3.01. ფინანსური აღრიცხვიანობა და ანგარიშები 55

მუხლი IV- სხვადასხვა 5

ნაწილი 4.01. ძალაში შესვლა 5
ნაწილი 4.02. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა 5
ნაწილი 4.03. ხელშეკრულების გაუქმება და შეჩერება 66
ნაწილი 4.04. შეტყობინებები 66
ნაწილი 4.05. სამართლებრივი დასკვნა 76

პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება

2022 წლის _____ გაფორმდა ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა („მერია“) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს („ბანკი“) შორის.

ვინაიდან, საქართველომ, მერიამ და შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ (შემდგომში „პროექტის ორგანიზაცია“) ბანკისგან ითხოვეს დახმარება პროექტის დაფინანსების მიზნით;

ვინაიდან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-18 მუხლის თანახმად ბანკს უფლება აქვს შექმნას და მართოს სპეციალური ფონდები და განახორციელოს სპეციალური ოპერაციები, რომლებიც დაფინანსებულია ასეთი სპეციალური ფონდებიდან;

ვინაიდან, მწვანე კლიმატის ფონდი ("**GCF**") შეიქმნა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ფინანსური მექანიზმის მოქმედი სუბიექტი, რათა დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს ადაპტაციისა და შერბილების პრაქტიკებში კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად;

ვინაიდან, EBRD დააფუძნა და ადმინისტრირებას უწევს EBRD-GCF სპეციალურ ფონდს (**EBRD-GCF სპეციალური ფონდი**), რათა ბანკმა მიიღოს და ადმინისტრირება გაუწიოს ფონდის სახსრებს;

ვინაიდან, ფონდმა და ბანკმა გააფორმეს: (i) 2017 წლის 22 აპრილს აკრედიტაციის გენერალური ხელშეკრულება ("აკრედიტაციის ხელშეკრულება") ბანკის საერთო მართვასთან, ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებასთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებული პირობების დადგენის მიზნით, რომლის თანახმადაც ბანკი მოქმედებს როგორც ფონდის აკრედიტებული პირი და (ii) დაფინანსებული საქმიანობის ხელშეკრულება "დაფინანსებული საქმიანობის: FP086 : მწვანე ქალაქების ობიექტი" 2019 წლის 2 ივლისის ("FAA") ბანკის მწვანე ქალაქების პროგრამის ფარგლებში ("**მწვანე ქალაქების პროგრამა**");

ვინაიდან, საქართველოს, როგორც მსესხებელსა და ბანკს შორის წინამდებარე ხელშეკრულების თარიღზე ან მიახლოებით თარიღზე გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით („სესხის ხელშეკრულება“, როგორც ეს განსაზღვრულია სტანდარტული პირობებით) ბანკი დათანხმდა ორმოცდაათი მილიონი ექვსასი ათასი ევრო (50 600 000 ევრო) მსესხებლისათვის სესხის გაცემას სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ პროექტის ორგანიზაციისთვის აიღებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

ვინაიდან, ბანკი ასევე დათანხმდა მსესხებლისათვის ხუთი მილიონი ევრო (5,000,000 ევრო) გამოყოფას გრანტის სახით EBRD-GCF სპეციალური ფონდიდან („GCF გრანტი“) ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების თარიღზე ან მიახლოებით თარიღზე;

ვინაიდან, განხორციელების მიზნით, მერია, პროექტის ორგანიზაცია და მსესხებლის ფინანსთა სამინისტრო გააფორმებენ ქვესესხის („ქვესესხის ხელშეკრულებას“) და გრანტის გადაცემის ხელშეკრულებას („გრანტის გადაცემის შეთანხმება“) რომელის პირობებით

გამსესხებელი თანხმდება, რომ მერიისა და პროექტის ორგანიზაციისთვის გამოყოს სესხი და GCF გრანტი პროექტის განხორციელების მიზნით;

ვინაიდან, ბანკმა და პროექტის ორგანიზაციამ გააფორმეს პროექტის განხორციელების ხელშეკრულება; და

ვინაიდან, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი სასესხო ხელშეკრულებას აფორმებს, ხოლო მსესხებელი - ქვესასესხო ხელშეკრულებასა და გრანტის გადაცემის ხელშეკრულებას, მერია თანახმაა, წინამდებარე ხელშეკრულებაში განსაზღვრული ვალდებულებები იკისროს.

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I - სტანდარტული პირობები და ტერმინების განმარტებები

ნაწილი 1.01. სტანდარტული პირობების გათვალისწინება

(ა) ბანკის 2021 წლის 5 ნოემბრით დათარიღებული სტანდარტული პირობების ყველა დებულება, სასესხო ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებით აქვეა გათვალისწინებული და გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულებაში იმავე ძალითა და ეფექტით, როგორც უშუალოდ აქ იქნებოდა სრულად განსაზღვრული (ხსენებული დებულებები ამგვარი სახეცვლილებით მოიაზრება „სტანდარტულ პირობებად“).

(ბ) სტანდარტული პირობების მიზნებისთვის, წინამდებარე ხელშეკრულება მიიჩნევა „საპროექტო ხელშეკრულებად“, ხოლო მერია - „პროექტის განმახორციელებელ ერთეულად“.

ნაწილი 1.02. ტერმინების განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში (მათ შორის პრეამბულაში) გამოყენებული ტერმინები იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონტექსტი სხვაგვარად მოითხოვს, განმარტებულია პრეამბულაში მითითებული მნიშვნელობებით, ხოლო სტანდარტულ პირობებში, პროექტის განხორციელებისა და სასესხო ხელშეკრულებებში განსაზღვრული ტერმინები - იქვე მითითებული მნიშვნელობებით და ქვემოთ მოყვანილი ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

„ფისკალური წელი"	გულისხმობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფისკალურ წელს, რომელიც იწყება ყოველი წლის 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ნაწილი 1.03. ინტერპრეტაცია

სხვაგვარად განსაზღვრული შემთხვევების გარდა, წინამდებარე ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლზე, ნაწილზე ან დანართზე მიმართება გულისხმობს უშუალოდ ამგვარ მუხლზე, ნაწილზე ან დანართზე მიმართებას.

ნაწილი 1.04. დასტური

ქალაქ თბილისის მერიას მიეწოდა და აქვე ადასტურებს სასესხო და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებების ასლების მიღებას.

II - მხარდაჭერის ვალდებულებები

ნაწილი 2.01. მერიის მიერ ნაკისრი მხარდაჭერის ვალდებულებები

იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბანკთან შესაძლოა სხვაგვარად შეთანხმდეს, ქალაქ თბილისის მერია კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ყველა საჭირო საკანონმდებლო, მარეგულირებელ და სხვა სახის ზომას მიმართავს (და ბანკს დაუდასტურებს, რომ ხსენებულ ზომებს მიმართა), რათა პროექტის ორგანიზაციამ შეძლოს ფუნქციონირება და დროულად განახორციელოს ყველა ის ფინანსური და სხვა სახის ვალდებულება, რომელიც პროექტის განხორციელების ხელშეკრულებაში და საჯარო სერვისის კონტრაქტშია განსაზღვრული. ყოველივე ზემოთქმული გულისხმობს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

(1) მსესხებელთან უნდა გააფორმოს ქვესასესხო ხელშეკრულება და გრანტის გადაცემის ხელშეკრულება და პროექტის ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ქვესასესხო ხელშეკრულებითა და გრანტის გადაცემის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რესურსი;

(2) წინამდებარე ხელშეკრულების ან სტანდარტული პირობების ზოგადი ხასიათის შეზღუდვის გარეშე საშუალება მისცეს პროექტის ორგანიზაციას, რათა მან საჭიროებისამებრ ხშირად მიიღოს გონივრული და ხელმისაწვდომი ზომები პროექტის ორგანიზაციის მგზავრობის საფასურის დონესა და სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის მიზნით, ფინანსური ხელმისაწვდომობის გათვალისწინების პირობით, და იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტის ორგანიზაციამ შეძლოს პროექტის განხორციელების ხელშეკრულებაში განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

(3) მხარი უნდა დაუჭიროს პროექტის ორგანიზაციას პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ფინანსური რესურსის გამოყოფით ან უზრუნველყოფით და პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში პროექტის ორგანიზაციის მიერ ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში მხარდაჭერის უზრუნველყოფით;

(4) უნდა უზრუნველყოს, პროექტის ორგანიზაციის მიერ პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

(5) როდესაც პროექტის განხორციელების ხელშეკრულების, ან საჯარო მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში პროექტის ორგანიზაციის მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების შესრულება საჭიროებს ქალაქ თბილისის მერიის ან რომელიმე შესაბამისი უწყების ან ორგანოს ნებართვას, დროულად უნდა გასცეს ის (ან უზრუნველყოს შესაბამისი უწყების ან ორგანოს მიერ ხსენებული ნებართვის დროული გაცემა) შესაბამისი კანონის ფარგლებში;

(6) ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ უნდა (და უზრუნველყოს რომ არც პროექტის ორგანიზაციამ) მოახდინოს პროექტის ორგანიზაციის მიერ გამოყენებული აქტივების სრული ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყიდვა, გასხვისება, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი ხელყოფა (ერთჯერადად ან მრავლობითად, დაკავშირებული ან დაუკავშირებელი ოპერაციის განხორციელების გზით), რაც მისი საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვისაა საჭირო ან რომლის ხელყოფაც შეიძლება, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს პროექტის განხორციელების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დამაკმაყოფილებელი სახით განხორციელების შესაძლებლობას;

(7) არ უნდა შეუშალოს პროექტის ორგანიზაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაკორექტირებელი ქმედების განხორციელებაში ნებისმიერი მისი მომხმარებლის მიმართ (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, სამთავრობო და მუნიციპალური დეპარტამენტებს, უწყებებსა და სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ საწარმოებს), რომლებიც ვერ შეასრულებენ პროექტის ორგანიზაციის წინაშე ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს;

(8) არ უნდა დაუშვას პროექტის ორგანიზაციის მიერ მის წესდებაში ცვლილებების შეტანა, შეწყვეტა ან გაუქმება ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, იმგვარად, რომ ამან მატერიალური და საზიანო გავლენა მოახდინოს პროექტის ორგანიზაციის საოპერაციო და ფინანსურ შესაძლებლობებზე ან უარყოფითად იმოქმედოს მის შესაძლებლობაზე, წარმატებით განახორციელოს პროექტი;

(9) ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მერიამ არ უნდა განახორციელოს რაიმე სახის ქმედება, რაც გავლენას იქონიებს საჯარო სერვისის კონტრაქტზე ან მისი რომელიმე დებულების ცვლილებების, გაუქმების, გასხვისების, შეწყვეტის ან მოხსნის სახით;

(10) ყველა ზომას უნდა მიმართოს და განსაკუთრებით კი თავად მიიღოს ან უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად საჭირო ყველა მარეგულირებელი დოკუმენტის მიღება;

(11) მუდმივად უნდა იზრუნოს პროექტის ორგანიზაციის მიერ სესხების ლიმიტის დაცვაზე, რათა ის არ გასცდეს პროექტის ორგანიზაციის წესდებით ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზღვარს;

(12) არ უნდა გაასხვისოს, გადასცეს ან სხვაგვარად ხელყოს პროექტის ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი სრულად ან ნაწილობრივ, არც დაუშვას რაიმე სახის შერწყმა, გაერთიანება, რეორგანიზაცია ან ცვლილება პროექტის ორგანიზაციის იურიდიულ ფორმაში, ბენეფიციარულ მფლობელობაში ან კონტროლში, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე, იმგვარად, რომ ამან მატერიალური და საზიანო გავლენა მოახდინოს პროექტის ორგანიზაციის საოპერაციო და ფინანსური შესაძლებლობებზე ან უარყოფითად იმოქმედოს მის შესაძლებლობაზე, წარმატებით განახორციელოს პროექტი; და

(13) შეასრულოს მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმა.

ნაწილი 2.02. ფინანსური ვალდებულებები

ქალაქ თბილისის მერია არ უნდა გასცდეს საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრულ სესხების ლიმიტს, სადაც ეს დროდადრო რელევანტურია.

ნაწილი 2.03. ქვესასესხო ხელშეკრულება

მერიამ უნდა შეასრულოს ქვესასესხო ხელშეკრულებით და გრანტის გადაცემის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ყველა ვალდებულება. თუ ბანკთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ქალაქ თბილისის მერიამ არ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც იმოქმედებს ქვესასესხო ხელშეკრულების და/ან გრანტის გადაცემის ხელშეკრულების პირობებზე ცვლილების, გაუქმების, გასხვისების ან ანულირების სახით.

ნაწილი 2.04. საჯარო მომსახურების კონტრაქტი

ქალაქ თბილისის მერიამ ნებისმიერ დროს უნდა შეასრულოს საჯარო მომსახურების კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი III - ფინანსური და საოპერაციო ვალდებულებები

ნაწილი 3.01. ფინანსური აღრიცხვიანობა და ანგარიშები

(ა) 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და ყოველი მომდევნო ფისკალური წლისთვის ქალაქ თბილისის მერიამ ბანკს უნდა წარუდგინოს:

(1) ქალაქ თბილისის მერიის საბოლოო წლიური ბიუჯეტი, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდება საკრებულოს მიერ დამტკიცების შემდეგ;

(2) წინა ფისკალური წლისთვის ქალაქ თბილისის მერიის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდება საკრებულოს მიერ დამტკიცების შემდეგ;

(3) წინა ფისკალური წლისთვის ქალაქ თბილისის მერიის ფინანსური ანგარიში, რომელიც მოიცავს მისი ფინანსური ვალის მაჩვენებელს ხსენებული ფისკალური წლის ბოლოსთვის, როგორც კი ხელმისაწვდომი გახდება.

(ბ) თუ EBRD-გან სხვაგვარი შეტყობინება არ იქნება მიღებული, მერიას უფლება აქვს სამოქმედო ქვეყნის ოფიციალურ ენაზე წარმოუდგინოს ბანკს ნაწილში 3.01(ა) განსაზღვრული დოკუმენტები.

მუხლი IV- სხვადასხვა

ნაწილი 4.01. ძალაში შესვლა

წინამდებარე ხელშეკრულება ამოქმედდება და ძალაში იქნება სასესხო ხელშეკრულების ამოქმედების დღიდან მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ნაწილი 4.02. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება სასესხო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თარიღზე, მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ნაწილი 4.03. ხელშეკრულების გაუქმება და შეჩერება

სტანდარტული პირობების თავში VII განსაზღვრული გაუქმების ან შეჩერების დათქმის მიუხედავად, წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა გააგრძელებს მოქმედებას სრული ძალითა და ეფექტით.

ნაწილი 4.04. შეტყობინებები

სტანდარტული პირობების ნაწილის 10.01 მიზნებისთვის განისაზღვრება შემდეგი მისამართები:

მერიისთვის:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შარტავას ქ.N7
0160 თბილისი,
საქართველო

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი
ტელ: +995 3222722222

ბანკისთვის:
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
გაერთიანებული სამეფო, ლონდონი,
საფოსტო ინდექსი E14 4BG
5 ბანკის ქუჩა

ადრესატი: ოპერაციების ადმინისტრირების დეპარტამენტი / საოპერაციო ნომერი 52586

ტელ: +44 20 7338 6000
ელ.ფოსტა: oad@ebrd.com

ნაწილი 4.05. სამართლებრივი დასკვნა

სასესხო ხელშეკრულების 5.02(გ) ნაწილის მიზნებისთვის, ქალაქ თბილისის მერიამ ბანკს უნდა მიაწოდოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული სამართლებრივი დასკვნა/დასკვნები ან უზრუნველყოს მათი მიწოდება ბანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით, სადაც ნაჩვენები იქნება, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და ქვესასესხო ხელშეკრულება ნებადართული ან რატიფიცირებულია, ხელმოწერილი და მიწოდებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელით, წარმოადგენს ქმედით და იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, რაც აღსრულდება შესაბამისი პირობების შესაბამისად.

ზემოხსენებულზე თანხმობის დასტურად ხელშეკრულების მხარეები მათი ჯეროვნად უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას სამ ეგზემპლარად, (ორი ბანკისთვის, ხოლო ერთი - ქალაქ თბილისის მერიისთვის) თბილისში, საქართველოში ზემოთ პირველად მითითებულ დღესა და წელს.

თბილისის მუნიციპალიტეტი

ხელმომწერი: _____

სახელი, გვარი:
თანამდებობა:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ხელმომწერი: _____

სახელი, გვარი:
თანამდებობა: